ბრძანება # 1-58

27 09 2017 წ.

გორი

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მისაღები გამოცდის ვადების, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა (27.09.2017. N1165723) და განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (27.09.2017. N1165541) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადად 27-28 სექტემბერი;

2. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) ფოტოსურათი ¾ (ელექტრონული ვერსი CD-ზე);

გ) ბაკალავრის /მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (დედნის წარმოდგენით) ან ცნობა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

დ) ცნობა საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);

3. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ვადები შემდეგი სახით:

ა) გამოცდა - 29 სექტემბერი (10 საათი);

ბ) გამოცდის შედეგების გამოცხადება - 30 სექტემბერი;

გ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 02 ოქტომბერი (10 – 14 საათი);

დ) საბოლოო შედეგების გამოცხადება - 02 ოქტომბერი (17 საათი);

ე) ხელშეკრულების გაფორმება - 03 ოქტომბერი;

4. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

6. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი

გიორგი სოსიაშვილი